2023-2025 წლების განმავლობაში შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" განკუთვნილი ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის

სხდომის ოქმი № CON230000271-2

ქ. თბილისი **13 ივნისი, 2023 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ზვიად ბარქაია –საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ენუქიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

დღის წესრიგი:

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" განკუთვნილი M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ 2023 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000271) უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის დაზუსტებული სატენდერო წინადადების განხილვა.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000271) ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადება წარმოადგინა შპს „თეგეტა მოტორსმა".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „თეგეტა მოტორსის" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და მიმდინარე წლის 30 მაისს სატენდერო კომისიის № CON230000271-1 სხდომის ოქმის შესაბამისად პრეტენდენტს დაევალა, ოქმის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო წინადადების დაზუსტების მიზნით შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

„ 1.1 დაზუსტებული დანართი N1 -ტექნიკური პარამეტრები (დასაზუსტებელი პოზიციები 25; 38; 44; 46; 54; 64; 68; 139; 215; 346 და 362), ... ოქმით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინებით, რომლითაც დადასტურდება შემოთავაზებული ავტობუსების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N1-ით (ტექნიკური პარამეტრები) დადგენილ მოთხოვნებთან.

1.2. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის მე-6 პოზიციის, შესაბამისად სრული დოკუმენტები ევროპული მთლიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის დამტკიცება (ECWVTA), შემოთავაზებული ავტობუსის მოდელზე ევროკავშირის UN ECE R107.08 და EU 2018/858 EC დირექტივის შესაბამისად. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან უნდა ირკვეოდეს რომ ევროპული მთლიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის დამტკიცება (ECWVTA), შემოთავაზებული ავტობუსის მოდელზე ევროკავშირის UN ECE R107.08 და EU 2018/858 EC დირექტივის შესაბამისად ვალიდურია.

1.3. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 24-ე პოზიციით მოთხოვნილი გრაფიკი შემოთავაზებული ავტობუსის აღმართზე ასვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

1.4. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 30-ე პოზიციით მოთხოვნილი სრული ავტობუსის შესაბამისობის სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ევრო 6 ემისიის სტანდარტებთან შესაბამისობას.

1.5. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 54-ე პოზიციით განსაზღვრული EN10204 3.1B სერტიფიკატი.

1.6. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 59-ე პოზიციით მოთხოვნილი სათანადო დოკუმენტი ცილინდრის მწარმოებლისგან, რომელიც დაადასტურებს ცილინდრების მონტაჟის შესაბამისობას ცილინდრის მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულ წესთან.

1.7. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 59-ე პოზიციით მოთხოვნილი ავტობუსის მწარმოებლის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ცილინდრის მონტაჟი აკმაყოფილებს UN ECE R110, გადახედვა 3, პარაგრაფი 18.4.4-ის ან UN ECE R110, გადახედვა 4, პარაგრაფი 18.4.4-ის მოთხოვნებს როგორც კალკულაციით, ასევე ტესტ-რეპორტის მიხედვით.

1.8. ავტობუსების მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, შემოთავაზებული ავტობუსების ტექნიკური პარამეტრების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება სატენდერო დოკუმენტაციით და შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ წარმოდგენილ დანართი N1-ით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან.

1.9. მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც სრულად დადასტურდება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1.2 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია.

1.10. დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც სრულად დადასტურდება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1.3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია.

1.11. დოკუმენტი, რომლითაც სრულად დადასტურდება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1.5 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია.

1.12. აუდიტორული ფირმების ან/და აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა, რომელშიც კონკრეტულად

იქნება მითითებული ინფორმაცია სერვისის განმახორციელებელი კომპანიის უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში (2020-2022) საშუალო ყოველწლიური ბრუნვის შესახებ (დასკვნაში მითითებული უნდა იყოს დასკვნის გამცემი პირის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი და აღნიშნული უნდა იძებნებოდეს https://www.saras.gov.ge ვებ-გვერდზე შესაბამის რეესტრში). წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3.1.3. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.13. აუდიტორული ფირმების ან/და აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა, რომელშიც კონკრეტულად იქნება მითითებული ინფორმაცია, რომ პრეტენდენტს უკანასკნელი 3 (სამი) წლიდან არანაკლებ 2 (წელი) დახურული აქვს ფინანსური მოგებით. (დასკვნაში მითითებული უნდა იყოს დასკვნის გამცემი პირის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი და აღნიშნული უნდა იძებნებოდეს https://www.saras.gov.ge ვებ-გვერდზე შესაბამის რეესტრში). წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.6.1.1 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.14. დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული ავტობუსების იერსახე წარმოებისა და გამოყენებული მასალების ხარისხი, მდგომარეობა და ფუნქციონალი შესაბამისობაშია ტენდერსა და კონტრაქტში მოცემულ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან.

1.15. დოკუმენტი, რომლითაც ავტობუსის მწარმოებელი ადასტურებს, რომ შემოთავაზებული ავტობუსები სიცოცხლისუნარიანი იქნება არანაკლებ 12 წლის განმავლობაში მძიმე ურბანულ პირობებში ოპერირების დროს (ოპერირების ვადა).

1.16. მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება, რომ შემოთავაზებული ავტობუსის მოდელია Lion‘s City 18C“.

სატენდერო კომისიის აპარატმა, სატენდერო კომისიას ასევე მოახსენა, რომ 2023-2025 წლების განმავლობაში შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ განკუთვნილი M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების შესყიდვის მიზნით, შესაბამისი ექსპერტული ცოდნის გასაზიარებლად შექმნილმა საკონსულტაციო ტექნიკურმა ჯგუფმა, საკუთარი მოთხოვნებისა და კომპეტენციის ფარგლებში შეაფასა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამისი სხდომის ოქმით (თან ერთვის წინამდებარე სხდომის ოქმს), რომლის თანახმადაც, შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება 2023-2025 წლების განმავლობაში შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ განკუთვნილი ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საკონსულტაციო ტექნიკური ჯგუფის 2023 წლის 29 მაისის სხდომის ოქმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული ტექნიკურ საკონსულტაციო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, აგრეთვე 2022 წლის 30 მაისის სატენდერო კომისიის № CON230000271-1 სხდომის ოქმის შესაბამისად წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია და მიიჩნია, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანების მე-17 მუხლის მეათე პუნქტის თანახმად, თუ კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარებულია მეთოდით, რომელიც არ ითვალისწინებს ელექტრონული ტენდერის ვაჭრობას დამატებითი რაუნდებით, გამარჯვებულად ვლინდება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადება სრულად შეესაბამება სატენდერო პირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000271) გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდეს შპს „თეგეტა მოტორსი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანების მე-17 მუხლის მეათე პუნქტის გათვალისწინებით, 2023-2025 წლების განმავლობაში შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ განკუთვნილი M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000271) გამარჯვებულ მიმწოდებლად გამოვლინდეს შპს „თეგეტა მოტორსი“.

2. შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს უფლება, გააფორმოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები გამარჯვებულთან M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON230000271) ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.